საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-70

23/01/2019

ქ. თბილისი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. კორმაღალში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ.უსახელო ხევის მარცხენა ნაპირის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

"საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის" მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია „სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ.კორმაღალში მდინარე უსახელო ხევის მარცხენა ნაპირის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე" სკრინინგის განცხადება.

ავარიული უბანი მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფ.კორმაღალში მდ.უსახელო ხევის მარცხენა ნაპირზე. ხევის წყლის და ზედაპირული წყლების მოქმედების შედეგად ირეცხება 7-8 მ სიმაღლის ფლატე, რის გამოც საფრთხე ემუქრება ადგილობრივი მოსახლის საცხოვრებელ სახლს და საკარმიდამო ნაკვეთს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ეროზიული მონაკვეთიდან, 15 მეტრში მდებარეობს. საპროექტო ობიექტის გეოგრაფიული კოორდინატებია: X – 285182,801; Y-4662656,178 და X – 285155,503; Y-4662660,205.

ხევისა და ზედაპირული წყლების მიერ აქტიური წარეცხვების შედეგად დანგრეული და გარეცხილი იქნა 25-30 მ-იანი ზოლი მდინარის გასწვრივ, შესაბამისად საჭიროა ნაპირის დასაცავად აიგოს 28.0 მ სიგრძის გაბიონის კედელი.

გაბიონის დამცავი კედელი გათვალისწინებულია აიგოს 5 მეტრამდე ზომის მცირე სექციებად, რათა არ მოხდეს მაღალი ფერდობის ჩამოშლა. ასევე დაგეგმილია მშენებლობის დროს გაბიონის უკან, ფერდობის დროებით გამაგრების სამუშაოები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გაბიონის ნაგებობა წარმოდგენილია 5.0X2.0X0.0.23 მ ზომის ლეიბებზე დაფუძნებული სამ იარუსიანი კედლის სახით. იარუსების მოწყობა დაგეგმილია გაბიონის ყუთებისგან. გაბიონის ყუთები უნდა შეესაბამებოდეს EN10223-3 სტანდარტს.

ხევის კალაპოტი წყლით ივსება მხოლოდ ნალექიან დღეებში, წყლის სიმაღლე არ აღემატება 1.5 მეტრს. ხევის ქანობის მიხედვით კი წყლის სიჩქარე არ აღემატება 2.5 მ/წმ.

გაბიონის ლეიბი მთლიანად გადაფარავს ხევის კალაპოტის ფსკერს, რაც პრაქტიკულად მთლიანად გამორიცხავს ფსკერის წარეცხვას. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მშრალი ამინდის პირობებში, ხევის ნაპირზე, კალაპოტის კიდეში. ტექნიკა არ შედის მდინარის ცოცხალ კვეთში და არ გამოიწვევს წყლის დაბინძურებას. სამშენებლო ტექნიკამ სავალდებულოა გაიაროს ტექდათვალიერება, რომ არ მოხდეს მიდამოს გაჭუჭყიანება ზეთებითა და საპოხი საშუალებებით. გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით,სამშენებლო მოედანზე გარდა გაბიონის მოსაწყობად საჭირო ქვისა და მავთულბადისა, არ იქნება შეტანილი არავითარი სხვა სახის სამშენებლო მასალა.

ნაპირსამაგრი სამუშაოების დროს წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, და სხვ.) რაოდენობა იქნება უმნიშვნელო. სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება საგანგებოდ გამოყოფილ სათავსოში. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი გადაეცემა იურიდიულ პირს, რომელსაც ექნება ნებართვა მსგავსი სახის ნარჩენების გაუვნებელყოფაზე.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში, ხოლო მათი გატანა მოხდება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე.

საქმიანობის პროცესში არ არის მოსალოდნელი არასამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა.

სამუშაო ტერიტორიაზე არ იგეგმება სამშენებლო ბანაკის მოწყობა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას სამეურნეო-ფეკალური მასები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მდინარე უსახელო ხევის საპროექტო სამუშაოების ჩატარებისას არ არის მოსალოდნელი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება. ფონური მდგომარეობით, პრაქტიკულად არ არსებობს ზემოქმედება ნიადაგოვან და მცენარეულ საფარზე, ასევე, არ ფიქსირდება ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების რისკები.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ „სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ.კორმაღალში მდ.უსახელო ხევის მარცხენა ნაპირის ნაპირსამაგრი(ნაპირდაცვითი) სამუშაოები“ **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს“
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი